



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიღმისწყალი

დიღმისწყალი, დ ი ღ მ უ ლ ა, მდინარე აღმ. საქართველოში, მცხეთის მუნიციპალიტეტისა და ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მტკვრის მარჯვ. შენაკადი.

სათავე აქვს საწვეპელას ქედის სამხრ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 1400 მ სიმაღლეზე. მტკვარს ერთვის თბილისში, შ. შალიკაშვილის (ყოფ. დიდუბის) ხიდის მახლობლად. სიგრძე 22 კმ, აუზის ფართ. 72,7 კმ².

დ-ის მდგენელებია ტაბარუკისხევი და ბევრეთისწყალი, შენაკადები – კვარათხევი, ძალანთხევი, წოდორეთისწყალი და სხვ. საზრდოობს თოვლისა და წვიმის წყლით.

წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნა – შემოდგომაზე, წყალმცირეა ზამთარსა და ზაფხულში.

გვალვების დროს მისი წყალი მტკვრამდე ვერ აღწევს. საშ. წლ. ხარჯი 0,25 მ³/წმ.
